



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 72

13 09 2017 წელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის „სპორტული სკოლა“-ს 2017 წლის 29 აგვისტოს N84 წერილის განხილვის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 13 სექტემბრის სხდომის N16 ოქმის მე-2 საკითხის შესაბამისად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის „სპორტული სკოლა“-ს 2017 წლის 29 აგვისტოს N84 წერილის გათვალისწინებით

1. ეთხოვოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, როგორც გამონაკლისი, უზრუნველყოს სარეზერვო ფონდიდან ერთჯერადად თანხის გამოყოფა მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტსმენების ლუკა კაპანაძისათვის, რომელმაც 2017 წლის 9-13 აგვისტოს ჩილეში, ქალაქ სანტიაგოში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატში კადეტთა შორის დაიკავა მეორე ადგილი და ბექა წიფიანისთვის, რომელმაც 2017 წლის 25-28 ივლისს უნგრეთში, ქალაქ გიორში ჩატარებულ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში მიუ-დოში ასევე დაიკავა მეორე ადგილი, თითოეულს 1500-1500 ლარი.

2 განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ზაურ ტაბატაძემ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
 საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევო